

GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

04 Şubat/ თებერვალი 2022

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 728.6	4 255.7	-6.8%	18.5 %	13.9 %

Gürcistan'da Enflasyon
ინფლაცია საქართველოში

Ocak 2021'de bir önceki aya göre Gürcistan'da enflasyon %1.1 yıllık enflasyon oranı ise %13.9 olarak teşkil etmiştir. Yıllık enflasyon oluşumunun temel neden aşağıdaki gruplarda fiyatların değişimi olmuştur:

2021 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 1.1% ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 13.9% შეადგინა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

1. Gıda ve Alkolsüz İçecekler / სურსათი და უალკოჰოლო სასმელები - 16.2%
   - Yağlar / ზეთი და ცხიმი - 16.9%
   - Sebze / ბოსტნეული - 20.7%
   - Ekmek ve ekmek ürünleri / პური და პურპროდუქტები - 20.5%
   - Süt, peynir ve yumurta / რძე, ყველი და კვერცხი - 14.4%
   - Şeker ve diğer tatlılar / შაქარი და სხვა ტკბილეული - 18.2%
   - Balık / თევზეული - 16.6%
   - Meyveler/ხილი - 13.7%
   - Alkolsüz içecekler / უალკოჰოლო სასმელები - 18.3%
   - Et ve et ürünleri / ხორცი და ხორცის პროდუქტები - 11.9%
   - Kahve, çay ve kakao / ყავა, ჩაი და კაკაო - 7.8%
2. Ulaşım / ტრანსპორტი - 16.2 %
3. İçme su, elektrik ve gaz / წყალი, ელ. ენერგია, აირი - 44.8%



ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

2021'de Gürcistan Ekonomi %10,6 Büyüdü
2021 წელს საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 10.6%-ით გაიზარდა

Ön tahminlere göre Aralık 2021'de bir önceki yılın aynı dönemine göre Gürcistan'ın gayrı safi yurtiçi hasıla (GSYİH) %9,6 büyüdü ve 2021'de ülke ekonominin yıllık büyüme oranı %10,6 olaraka teşkil etmiştir.

Aralık 2021'de bir önceki yılın aynı dönemine göre şu sektörlerde büyüme gözlendi: imalat, nakliye ve depolama, ticaret, otel ve restoranlar, elektrik, gaz temini, soğutma-ışıtma sektörü, gayrimenkul faaliyetleri, sanat ve eğlence sektörü. İnşaat sektöründe ise düşüş eğilimi gözlendi.

წინასწარი შეფასებით, 2021 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 9.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2021 წლის საშუალო რეალური ზრდა 10.6 პროცენტით განისაზღვრა.

2021 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ დარგებში: დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ხელოვნება, გართობა და დასვენება. ხოლო კლების ტენდენცია დაფიქსირდა მშენებლობის დარგში.

2021'de Ekonomideki Para Hacmi Arttı
2021 წელს ეკონომიკაში ფულის მასა გაიზარდა

2021'de ekonomideki para hacmi yaklaşık 2.916 milyar GEL ile arttı. Ocak 2021'de para hacmi 13,181 milyar GEL olarak gerçekleşirken, Aralık ayında 16.097 milyar GEL olarak gerçekleşti. Aralık 2021'de para hacmi ekonomide rekor seviyedeydi.

Not edilmeli ki ekonomideki para hacminin keskin artış 2015 yılından başladı: Aralık 2015 - 5.685 milyar GEL, Aralık 2016 - 6.526 milyar GEL, Aralık 2017 - 8.350 milyar GEL, Aralık 2018 - 9.675 milyar GEL, Aralık 2019 - 11.495 milyar GEL, Aralık 2020 - 13.659 milyar GEL.

2021 წელს ფულის მასა ეკონომიკაში დაახლოებით 2,916 მლრდ ლარით გაიზარდა. 2021 წლის იანვარში ფულის მასა 13,181 მლრდ ლარს შეადგენდა, ხოლო დეკემბერში 16,097 მლრდ ლარს გაუტოლდა. 2021 წლის დეკემბერში ფულის მასა ეკონომიკაში რეკორდულად მაღალ ნიშნულზე იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკაში ფულის მასის მკვეთრი ზრდა 2015 წლიდან დაიწყო. 2015 წლის დეკემბერში ფულის მასის მოცულობა - 5.685 მილიარდ ლარს შეადგენდა, 2016 წლის დეკემბერში - 6.526 მილიარდ ლარს, 2017 წლის დეკემბერში - 8.350 მილიარდი ლარი, 2018

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING · Ziraat Bankası

წელს -9.675 მილიარდი ლარი, 2019 წლის ბოლოს - 11.495 მილიარდი ლარი, ხოლო 2020 წლის ბოლოს, - 13.659 მილიარდი ლარი შეადგინა.

İnşaat İzinler %5,6 Arttı
მშენებლობაზე ნებართვების გაცემა 5.6%-ით გაიზარდა

2021 yılında, Gürcistan'da 7.434,5 bin metrekare (önceki yıla göre %42,8 daha fazla) alanın inşa edebilmesi için 10 095 izin (bir önceki yıla göre %5,6 daha fazla)verildi.

İzinlerin %74,4'ü ülkenin 4 bölgeye geliyor: Tiflis %48,8, Mtsheta-Mtianeti %9,2, Kvemo Kartli %8,5 ve İmereti %7,9 dağıtılmaktadır.

2021 yılında izinlerin çoğu konut kompleks, AVM, Otel, Sanayi kuruluşlar ve Tarım tesisler için verilmiştir.

საქართველოში 2021 წელს გაცემულია 10 095 ნებართვა (წინა წელთან შედარებით 5.6 პროცენტით მეტი) 7 434.5 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე (წინა წელთან შედარებით 42.8 პროცენტით მეტი).

ნებართვების 74.4 პროცენტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე. კერძოდ, 48.8 % თბილისზე, 9.2 % მცხეთა-მთიანეთზე, 8.5 % ქვემო ქართლზე და 7.9 % იმერეთის რეგიონზე ნაწილდება.

2021 წელს ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სავაჭრო ობიექტების, სასტუმროების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე.

Avrupa'da Rus Gazının Yeri Azerbaycan Gaz Alabilir
ევროპისთვის რუსული გაზი შესაძლოა აზერბაიჯანულმა ჩაანაცვლოს

AB Dış İlişkiler ve Güvenlik Politikası Özel Temsilcisi Jose Borrell, Rusya doğal gaz teminin kesmeye veya azaltmaya karar verirse, Avrupa Birliğinin, doğalgaz tedarik konusunda Katar ve Azerbaycan ile işbirliği yapmaya hazır olduğunu duyurdu. Dediği gibi AB bu çatışmada diplomasi kullanabilmesi için mümkün olduğu kadar her imkânı kullanmaktadır. Yazdığı gibi diplomasi başarısız olursa ve Rusya gaz teminin kesmeye veya azaltmaya karar verirse Avrupa Birliği ABD, Katar ve Azerbaycan gibi gaz ortaklarıyla çalışmaya hazırdır.

Azerbaycan'ın Birleşik Krallık Büyükelçisi Elin Süleymanov'a göre, Azerbaycan Avrupa'ya gaz tedarik etmeye hazır. Dediği gibi Azerbaycan daha fazla gaz üretebilme ve güney koridorun genişletebilme imkana sahip. İki ülke arasındaki işbirliği çerçevesinde Hazar Denizi'ndeki Dostluk santralın geliştirme planlamaktadır ve bu bağlamda Bakü, doğal gazının Türkmenistan'dan aktarmaya da hazır.

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING · Ziraat Bankası



Şah Deniz 2'bağlanmış Güney Kafkasya Genişletilmiş Boru Hattı, Trans Anadolu Doğal Gaz Boru Hattı (TANAP) ve Trans Adriyatik Boru Hattı'nı (TAP) içeren Güney Gaz Koridoru, 31 Aralık 2020'den itibaren tam faaliyete geçti. 31 Aralık 2020'den 31 Aralık 2021'e kadar TAP aracılığıyla toplam 8,1 milyar metreküp gaz tedarik edildi. İtalya'ya TAP aracılığıyla 6,8 milyar metreküp gaz, Yunanistan ve Bulgaristan ise 1,2 milyar metreküp gaz tedarik edildi.

საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის წარმომადგენლის ჟოსეპ ბორელის განცხადებით ევროკავშირი მზადაა, გაზის შესყიდვაზე ყატართან და აზერბაიჯანთან ითანამშრომლოს, თუ რუსეთი მიწოდების შეწყვეტას ან შემცირებას გადაწყვეტს. მისი განმარტებით ევროკავშირი ყველაფერს აკეთებს და ყველა შესაძლო გზას იყენებს იმისთვის, რომ ამ დაპირისპირებაში დიპლომატიამ იმუშაოს. თუ დიპლომატია წარუმატებელი აღმოჩნდა და რუსეთი მიწოდების შეწყვეტას ან შემცირებას გადაწყვეტს, ევროკავშირი მზადაა, გაზის მიწოდებაზე ისეთ პარტნიორებთან იმუშაოს, როგორიც არის აშშ, კატარი და აზერბაიჯანი - წერს ბორელი.

დიდ ბრიტანეთში აზერბაიჯანის ელჩის, ელინ სულეიმანოვის განცხადებით აზერბაიჯანი მზად არის, ევროპას გაზი მიაწოდოს. მისი თქმით, აზერბაიჯანს მეტი გაზის წარმოება და სამხრეთის დერეფნის გაფართოება შეუძლია. ბაქო, ასევე, მზადაა, ნაკადი თურქმენეთიდან გაატაროს, რადგან ორი ქვეყანა კასპიის ზღვაში დოსტლუგის საბადოს განვითარებას აპირებს.

სამხრეთის გაზის დერეფანი, რომელიც სამხრეთ კავკასიურ გაფართოებულ მილსადენ შაჰ-დენიზ 2-ს, ტრანს ანატოლიის ბუნებრივი აირის მილსადენსა (TANAP) და ტრანს ადრიატიკის მილსადენს (TAP) მოიცავს, სრულად 2020 წლის 31 დეკემბრიდან ამოქმედდა. TAP-ის გავლით 2020 წლის 31 დეკემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე სულ 8,1 მილიარდი კუბური მეტრი გაზი გადაიქაჩა. იტალიას TAP-ით 6,8 მილიარდი კუბური მეტრი, საბერძნეთსა და ბულგარეთს კი 1,2 მილიარდი კუბური მეტრი გაზი მიეწოდა.

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING · Ziraat Bankası

Covid – 19

Gürcistan'da günlük Covid-19 vaka sayısı günde 22 263'a ulaşmaktadır. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 145 137 ulaştı (ortalama: 20 733 kişi/gün). Bu hafta en yüksek günlük oran 02 Şubat tarihinde kaydedildi – 26 320. Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 1 272 371 ulaştı. Can Kaybı – 15141, iyileşenlerin sayısı –1 053 966, aktif vaka ise – 203 264. Halihazırda hastanelerde 5808, otellerde ise 1958 kişi tedavi görüyor, 42 kişi ise karantinadadır. Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %30.16'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oranı %25.24'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %27.28'e eşittir.

Bunun yanı sıra Gürcistan'da aşılama süreci de devam etmektedir. Şu an için toplam 2 742 134 kişi aşılandı. Aşı için kayıtlar devam etmektedir. Kayıt portal: https://booking.moh.gov.ge

Dünya çapında korona virüs vakalarının sayısı 388 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 388 982 520; Can Kaybı – 5 733 116; İyileşen kişi sayısı – 308 275 919. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Fransa ve Birleşik Krallık'ta görülmüştür.

საქართველოში კორონა ვირუსის შემთხვევები ისევ მაღალია და დღიურად 22 263 -ს უტოლდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 145 137-ს უტოლდება - 20 733 კაცი საშუალოდ დღეში. ყველაზე მაღალი დღიური მაჩვენებელი 02 თებერვალს დაფიქსირდა - 26 320 ინფიცირებული. ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 1 272 371შეადგინა, გარდაიცვალა 15 141, გამოჯანმრთელდა 1 053 966, ხოლო 203 264 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 5808 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 1958 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 42 ადამიანი. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად 30.16%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 25.24%, ხოლო 7 დღის 27.28%.

პარალელურად მიმდინარეობს ვაქცინაციის პროცესი. საქართველოში ჯამურად აცრა 2 742 134 ადამიანს ჩაუტარდა. ვაქცინაციაზე რეგისტრაცია უწყვეტად მიმდინარეობს. რეგისტრაციის პორტალი: https://booking.moh.gov.ge

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 388 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 388 982 520 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 5 733 116, ხოლო გამოჯანმრთელდა 308 275 919 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, საფრანგეთს და დიდ ბრიტანეთს ჰყავს.

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING · Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.0179 **TRY/GEL** – 0.2221 **EUR/GEL** – 3.4041 **GBP/GEL** – 4.0880

USD/GEL

28 – 04 Şubat 2022

USD/TR

28 – 04 Şubat 2022

TRY/GEL

28 – 04 Şubat 2022

BTC – 37 930. 81

28 – 04 Şubat 2022



ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası